

რედაქცია

გაზეთის პრინციპები. ა. გ. მუსხიშვილის ხელზე.
ბელის-მოწერა
მოდის თუილში, კარაგა, ივერის რედაქცია.
მ. ქუთაისში, კარაგა, ივერის რედაქცია. ა. გ. მუსხიშვილის ხელზე.
თბილისში, კარაგა, ივერის რედაქცია. ა. გ. მუსხიშვილის ხელზე.
რედაქცია „დროება“ „Иверия“.

„დროება“-„ივერის“ ფასი

წელიწადში 6 თვეს. 3 თვეს.
დროება „დროება“ ერთად 14 მან. 8 მ. 5 მ.
„დროება“ 9 მან. 5 მ. 3 მ.
„დროება“ 7 მან. 4 მ. 2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსაზღვრის

დროებას აქვს საკუთარი კაპიტალიზაცია.
დროებას აქვს საკუთარი კაპიტალიზაცია.
დროებას აქვს საკუთარი კაპიტალიზაცია.
დროებას აქვს საკუთარი კაპიტალიზაცია.
დროებას აქვს საკუთარი კაპიტალიზაცია.
დროებას აქვს საკუთარი კაპიტალიზაცია.
დროებას აქვს საკუთარი კაპიტალიზაცია.
დროებას აქვს საკუთარი კაპიტალიზაცია.
დროებას აქვს საკუთარი კაპიტალიზაცია.
დროებას აქვს საკუთარი კაპიტალიზაცია.

თავადი ზაალ დავითის-ძე
ხმარებული მუდრით, გული-
თადის მუდრით აუწყებს რა
გარდაცვალებას მისი ნათესავის
არტილერიის პოდპორუჩიკის მ.
ლევან დიმიტრის-ძის ხმარებუ-
ლიძისა, კრილოვისაგან, რომ-
ელიც მიიღო გეოქ-მეფის აღე-
ბის დროს, სთხოვეს მშობელთ,
ნაცნობთ და თანამოსახურეთ
მიცვალებულისა, მობრძანდნენ
მ. შვეთის-წმ. ზოგადი ეკლესია-
ში, სადაც იქნება გარდაცვალებული პა-
ნაშვილი, პარასკევს 20 მარტს, დი-
ლის 11 საათზედ.

ზირეულის მარტიდამ წლის
დამლევადინ
დროება
დირს რვა მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში:
რედაქციაში (გაზეთის პრინციპები, ა. გ. მუსხიშვილის ხელზე, კლუბის
ქვეშ), მუთაისში—აგენტთან ბ. ილია
ჭყონასთან (სიღვსე, მიწიან ჭყონას
სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთა-
თვის ადრესი: Тифлисъ. Редакция
„Д р о б а“.

„დროების“ ფელტონი, 18 მარტს.

უპატრონო პაველ. *)
მოთხოვნა კლავდიისა.
(თარგმანი)

შეუდგნენ გზას. ბადაიარეს ბევრი
მთა და ბარი ზაფხულის მზით გაკაშ-
კამებული. მც-და-ათ დღემ გაიარა,
ვიდრე ერთს კვირა დღეს, გათენებ-
სას მიუახლოვდნენ მაღალ სერს, საი-
დანაც მოჩნდა ოქროვან ნისლში
არეულად საოცარი შენობები, საყ-
დრის გუმბათები, სვეტები, ძეგლები,
სხვა-და-სხვა თაღები და სახლის ბა-
ნები, რომლებსაც მზებზე კაშკაში გაჰ-
ქონდათ.
— ჩვენ იქ მივდივართ? მკ, ზეცი-
ერო ღმერთო! წამოიძახა ყმაწვილმა
და დაღლილმა დაჯდა ქვაზე.
— სწორედ, უპასუხა პარიფელმა
და ქუდი მოუხადა თავის სამშობლო
ქალაქს:—აი, ეს არის უდიდესი და
უმშვენიერესი ქალაქი! თავი დაუკარ,
ბიჭო, ამ თვალის-ჩინს!
— მკ, მამა, მაგაზე საჩინო და
მშვენიერი არა არი—რა ქვეყანაზე;

ტელეგრაფები

საღმთა შორის ტელეგრ. სააგენტოსი
კაბარბურლი, 16 მარტს. გუშინ,
ადრევე გამოცხადებულის ცერემონია-
ლის თანახმად, მიცხადებული ხელ-
მწიფე იმპერატორი დასაფლავეს. ამ
დღეს მთელს რუსეთში პანაშვიდი
განდისადეს, ყველგან გლოვა და ტი-
რილია. ხელმწიფის სასახლეში ერთს
წლის განმავლობაში იქნება მგლო-
ვიანობა.

რუშინის სამთავრო საკარგოდ
ადიარეს.

კაბარბურლის ბირჟა, 16 მარტს.

(„საღმთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა	—	96—12
მეორესი	—	92—87
მესამესი	—	93—50
მეოთხესი	—	93—12
აღმოსავლეთის პირვ.	—	93—23
აღმოსავლეთის მეორე	—	92—12
აღმოსავლეთის მესამე	—	92—24
მ. ქრო, 1/2 იმპერიალი	—	7—95
თფილისის სააღგ.-მამ. ბანკის გი-		
რაოს ფურცელი	—	„—“

მაგრამ მე ისე დავიღალე, რომ ვერც
კი მივალწევ იქამდის.
— ნუ გეშინიან, აგიკიდებ და ისე
წავიყვან.
მართლაც ეს ყმაწვილი პირვე-
ლად პარიფში შევიდა აკიდებული
კეთილ მეწვრილმანეს ზურგზე...
შველას ახსოვს ის სამი-ოთხი ცი-
ვი ზამთარი, რომელიც წინ უძღო-
და 1870 წელს. მის არ უნახავს მა-
შინ თავ-შეშვლი, ქალამებით და
ერყაუტში გახვეული პატარა ბიჭი!
ის ჰყიდდა ცხელ-ცხელ წაბლს ბულ-
ვრის ბოლოს, საცა ააშენეს ეხლა
შერანდის ცირკი.
— რაო, ყმაწვილო, ბევრსა ჰყი-
დი? მკითხე მე ერთხელ შობის წინა
ღამეს.
— საკმაოდ.
მან გაშტერებით შემომაქციტა
თავის ლურჯი თვალები და თითქო
ჰკითხა მათ თავის თავს:—„სად მინა-
ხავს ეს უცნობიო, რომ ესე ეკითხე-
ბა ჩემი ვაჭრობაო?“
— წარულ კაი მოსავალი იყო
წაბლისა ბრეტანიაში და მასკონიაში,
გავგრძელე მე ლაპარაკი:—შენ სა-
იღვანა ხარ?
— ლაპარაკზე შემატყობ—საილა-
ნაც ვარ.

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი სესხის	—	224—75
მეორე სესხის	—	217—50
1 მანეთი ღირს:		
ლონდონი	—	24—87 პენსი
ბამბურლი	—	211—25 ცენტი
პარიფი	—	262— „სანტიმი
მენა	—	129—50 პენიგი
აგვასიის კერასინი	—	—

ხელშეწყობის მიცვალების ამბავი.

— რომდორს გამოუცხადებია თა-
ვის გაზეთში, რომ ნამდვილი დამნა-
შავენი 1 მარტის შემთხვევისა არ
არიან დაჭერილიო. რისაკოვი არ არის
დამნაშავეო. ასაფეთქი ყუმბარა ქუ-
ჩილამ კი არ არის ნასროლი, დიდ
შენობილამ არისო მილიონის ქუჩა-
ზედ რომ დგასო.
ამას გარდა ესევე გაზეთი ამბობს,
რომ მოსკოვის შემთხვევებისათვის
19 ნოემბერს იყო დანიშნული 15
ნიგლისტი, 5 თებერვალს ასაფეთ-
ქათ—18, მეზენცოვის მოსაკლავად—
სამი და ეხლა იმპერატორის მოსაკ-
ლავად ხუთი რევოლუციონერი იყო
დანიშნულიო; ის პირი, რომელმაც
მეორე ასაფეთქი ყუმბარა ესროლა
იმპერატორს, დაიშალაო.

— სულაც არა.
— სტყუით, ვინც გაიგებს ჩემ ლა-
პარაკს, კარგა მიხედება, რომ მეც-
ნილამ უნდა ვიყო.
— მართალია, მაგრამ მეცნიერი დი-
დი მაზრია, იმაში ბევრი სხვა-და-სხვა
ქალაქები იმყოფება.
— ბრიუდიც იმ ქალაქების რიც-
ხეშია.
— შენი სამშობლო ქალაქი ბრი-
უდია?
— აგრე ამბობენ.
— მშვენიერი ქალაქია. შენ რაღა
გქვია?
— შხრუნელი.
— დამცინი?
— სულაც არა.
— მე მინდა შევითყო შენი სახე-
ლი,—პეტრე გქვია, ივანე, თუ სხვა?
— ჩემი სახელი პავლეა.
— ბერია?
— ბერია არა მაქვს. მე მარტო
პავლე ვარ, „შანის პავლე“, რადგან
წმინდა პავლობას ყანაში მივთვს.
— მართლს ამბობ?
— სწორედ.
— ცუდად მოქცეულან ვისაც შენ
დაუტოვებინარ. საწყალო, რამდენ
ტანჯვას გამოივლიდი! ნათესავები
გვანს აქ?

— შენვეაში გარდასახლებული რუ-
სის რევოლუციონერები, ღრგომა-
ნოვი, ლუჩასოვი, შუკოვსკი და პრა-
პოტკინი აცხადებენ, რომ მათ ამ
როშტორისაგან გამოქცეულნი არა
ბებში მონაწილეობა არ მიუღიათ.
— რისაკოვის რომ ხელი სტაცეს,
უთქვამს, რომ ყუმბარა, რომელიც
ხელმწიფეს ვესროლე, ერთმა ქალმა
გადმოძვიაო.
— იმ გვარი პატარა ყუთი აბებით,
რომელიც მიცვალებულ ხელმწიფეს
მისვლოდა, დანარჩენ მეროპის ხელ-
მწიფეთაც მიუვიდათ თურმე.
— ზოგიერთს გაზეთებში იწერე-
ბიან, რომ ამ მოკლე ხანში პეტერ-
ბურღში უნდა მოხდეს რუსის მი-
ნისტრთა რჩევა, თ. ზოგადი თავ-
მჯდომარეობით, რუსეთის პოლიტი-
კის მიმართულებასზე მოსალაპარაკებე-
ლად.
— ლორის-მელიქოვს დაუბარებია
ყველა აგენტები საიდუმლო პოლი-
ციისა და ამ დროსვე უბრძანებია
ამათი სადგომების გაჩხრეკა. როგორც
ამბობენ, ბევრი რამ გამოაჩინა თურ-
მე ამ გაჩხრეკამ.
— პარიფელ გაზეთს „მოლტერში“
სწერენ, ვითომ რუსეთის შინაგან
საქმეთა მინისტრს გრაფ ლორის-
მელიქოვს და სენატორს პოპელო-

ამ სიტყვებმა ორიოდ ცრემლი დაა-
დგრეგინა ყმაწვილს. მერე ამაყად
გასწორდა წელში, გულზე ხელი და-
იკრიფა და სწრაფად წამოიძახა:
— რას მალაპარაკებთ? აქ ბევრი
ჯამუშები არიან, — იმათგანი ხომ
არა ხართ? მუ აგრეა, წადით, უთ-
ხარით თქვენ ბატონს, რომ მე ჩემ
დღეში არ დამიყვინია: „აღლევრძე-
ლოს ის!“ სუყველამ კარგად იცის,
რომ ის კაცი-მქამელაა, გაუფრთხილ-
დეს თავის თავს. იმისაგან გადაკარ-
გულები ჯერ სუყველა არ მომკედა-
რა, ვინც მომკედარა, შვილები დაუ-
ტოვებიათ და ეხლა ისინი მოზდი-
ლან.
— რასაკვირველია, იმაზე დიდი იმე-
დია, როცა საჭიროება მოითხოვს.
მამე ხელი, ჩვენ ერთი აზრისა ვყო-
ფილვართ. ძაი კაცი გამოუყვანიხარ
იმ კაცს, ვინც შენ გაგზარდა.
— მკ, ნეტავი გაეგო იმას თქვე-
ნი სიტყვები!
— რა დავმართა?
— დიდი ხანი არ არის, რაც მე
მყვანდა მამა, ან არა და ის, ვინც
მე მამობა გამიწია, თქვა ნაღვლი-
ნად ყმაწვილმა. მკ, რა საუცხოო
კაცი იყო, რა კეთილშობილი და
ძვირფასი გული ჰქონდა! მუ გინდ

*) „დროება“ № 55.

ნოსტრეს, მიფლოთ წერილი რეგო-
ლიუციურ ზამგე პომიტეტისაგან, რომელი
მელშიაც სიკვდილს ემუქრებოდა.

— ხონთქარს უარი უთქვამს ალექ-
სანდრისათვის, რომელსაც უთხოვე-
ნია პეტერბურგში წასვლა და იმპერატორის
ალექსანდრე III ტახტზე ასვლის მილოცვა.

— მრთის პარიველ გაზეთში სწე-
რია: პოლიციის პრეფექტს ბ. პნდრიეს
წარუდგინეს ყოველ გვარი პოლი-
ციური ცნობანი შესახებ რუსის რე-
ვოლუციონერებისა, რომელნიც ცხოვრებენ
პარიჟში. ეს ცნობები აჩვენებენ, რომ
რუსის რევოლუციონერებისაგან, რომელნიც
პარიჟში მცირეა, სულ 10 კაცია. აქ მხოლოდ
დროებით არიან, ვინც არიან, და აქედამ
გზავნიან შენგენში და ლონდონში.

პოლშელების და ამათი რევო-
ლუციონერების რიცხვი კი შეადგენს
არა ნაკლებ 4,000, რომელთაგან
ასი კაცი ყოველთვის მზათ არიან
რუსის რევოლუციონერებისაგან სა-
ზოგადო აზრისათვის თავი გადა-
ღონ.

— 1 მარტის შემთხვევის შემდეგ,
საფრანგეთის სამზღვრებზე ფიცხელი
ბრძანება გაცემული, დაუყოვნებლივ
აქნობონ პარიჟში ყოველ რუსის
მოგზაურზე, რომელიც საფრანგეთ-
ში მოდის.

ახალი ამბები.

ზავლილ კვირას, 15 მარტს, დი-
ლიდამეც ოფილისის ყველა ეკლე-
სიებში ზარის რეკამ აცნობა ხალხს,

ჰკითხეთ სუყველა მგზობლებს-რო-
გორი იყო იგ. საბურია... ის რომ ისე-
თი თავისუფალი აზრის კაცი არ ყო-
ფილიყო, აქამდის ცოცხალი იქნე-
ბოდა...

— მანა მოკვდა? შეუძლებელია?
როდის, სადა?

— მაისში, აქვე ახლოს. მრთელა
კარგა გვიან, ეჭამდი ვახშამს; ის
იჯდა ჩემ და თავის ქალის შუა. შე-
ცრად დაიყვირეს: „ცეცხლი გაჩნდაო!“
მაშინვე ჩამოვედი ჩარდახიდან ქუჩა-
ში. იქ შევიტყუეთ, რომ ერთ კორსი-
კელ ბეზალის გაზის ქარხანა იწვის და
იმისი დამბლა ცოლი და ოთხი შვი-
ლი ჯერ არ დაუხსნიათ. „ჩქარა წა-
ვიდეთ იქ!“ წამოიძახა იმან და ორინ-
ვე იქით გავექანეთ. რამდენიმე წუთს
შემდეგ დავეინახეთ მდიდრის სახლი
სანთელივით ანთებული. „შეცადათ
როგორმე დავიხსნათ ამ მდიდრის
ყმაწვილები, მითხრა მამა ჩემბა:—
თითონ ავი კაცია და ურევია იმ ავა-
ზაკებში, რომელნიც ტყავს გვაძრო-
ბენ, მაგრამ ჩვენ უნდა უჩვენოთ მა-
გალითი მაგ პატიოსან კაცებს,“ თუ
როგორი არიან ის ზარბაზნები და
ლოთები, რომელთაც ზარბაზნებით
ხერტავენ: „სხვინ საქმეში ნუ ერე-
ვითო.“ ის შევარდა ჯგუფად მდგომ
ხალხში; მეც უკან მივდევდი.

რომ იმ დღეს პეტერბურგში ასაფ-
ლაგებდნენ ასე უბედურად მიცვალე-
ბულ იმპერატორს.

დღილიდამეც ყველა მაღაზიები დაკე-
ტილი იყო, უანგარიშო ხალხი ირე-
ოდა ქუჩებში და ეკლესიებისაკენ
მიეშურებოდნენ. მართვლების, ფრან-
გების, სომხების და სხვა ყველა რჯუ-
ლის ეკლესიებში პანაშვიდი გარდაი-
ხადეს და მღვდლებმა გარემოების შე-
საფერი სიტყვები წარმოსთქვეს. მა-
ღალ-ყოვლად სამღვდლო საქართვე-
ლოს ეგზარხოსი იოანე სიონის
სობოროში სწირავდა, სადაც პავლე-
სის ნამესტნიკის მოადგილე ღენ-
ადიუტანტი თავ. ლევ. მელიქოვი,
უცხო ქვეყნების დესპანები და ყველა
სამსახურში წარჩინებული პირები და-
ესწრნენ.

შველას რაღაც უჩვეულებრივო
მწუხარება და ფიქრი ჰქონდა სახეზედ
გამოხატული...

— ამ 15-ს მარტს, შემდეგ თითქმის
ათის წლის ავთამყოფობისა, ოფილის-
ში გარდაიცვალა ალექსანდრის სა-
ოსტატო ინსტიტუტის დირექტორი
ბ. პ. ზახაროვი.

ჩვენს მუდმივ მკითხველებს ეხსო-
ვებათ განსვენებულის სახელი, რად-
განაც არა ერთხელ ყოფილა მასზედ
ლაპარაკი „დროშის“ ფურცლებ-
ზედ.

მიცვალეზულს დიდი ხანია, რაც
ალარ შეეძლო, ავთამყოფობის გამო,
თანამდებობის აღსრულება, მერე ისეთ
თანამდებობისა, როგორით არის სას-
წავლებლის დირექტორობა; მაგრამ
მანც ის თავს არ ანებებდა. ბევრ-

— ხომ არ გაგიჟებულანო? შეი-
როდნენ აქედ-იქიდან. მაგრამ ჩვენ
არა გვესმოდა, ყურადღებას არას გაძ-
ლევდით და მარტო ორნი შეგვდიოთ
ცეცხლ-მოკიდებულ სახლში. ღერე-
ფანი მშვილობიანათ გავიარეთ, კიბე-
ზე კომლი გვახრჩობდა, ხის საფეხუ-
რები დამწვარიყვნენ და ჩვენ ფეხ
ქვეშ ჰახა-ჰუხი გაჰქონდათ. რა გაი-
ვაგლახით ავედით მაღლა ოთახებში.
შეცრად იტყვი ჩავარდა და ჩვენც
ჩავვარდით. ორმა ცეცხლ-მოკიდებულ
ბოძმა ისე მიმაწყვდია კედელთან,
რომ ჩემთან ახლო შუაგულ ცეცხლ-
ში ილუპებოდა მამა ჩემი და მე კი
ვერა გზით ვირ ვუშველე. — მშვიდო-
ბით, ჩემო შვილო, — დამეყვირა იქიდან,
— ჩემი ბოლო მოვიდა! მაუფრთხილ-
დი ჩემ ქალს და თუ შემთხვევა ნე-
ბას მოგცემს, თავი შესწირე რესპუ-
ბლიკას!

„მითქო აქამდის მესმის ეს სიტ-
ყვები. მოვიგროვე რაც ღონე მქონ-
და, მინდოდა წამომდგარიყავი, მა-
გრამ სულ ამაო იყო. სული მიგუბ-
დებოდა, ვიხრბოდი. ამ დროს
კომლში დავინახე თითბრის ქუდები.
ცეცხლის მქრობელებმა გამომიყვანეს
და რამდენიმე წუთს შემდეგ ჩემ
ჩარდახში მირჩინის კოცნამ გონება-
ზე მომიყვანა.

ჯეო ისე მიმიმდ მისუსტდებოდა
ხალხი, რომ აღარ შეეძლო აღგი-
ლიდან დაძრულიყო; მაგრამ მან-
ცა-და-მანც გაკვეთილს იშვიათად
დააკლდებოდა: ამისთანა შემთხვე-
ვაში მაგირდებს თავის ოთახში
იწვევდა და იქ უგონებდა გაკვეთი-
ლებს.

ბევრს რასმე ვიტყვოდათ მიცვალე-
ზულის მოქმედებაზედ, მაგრამ წას-
რულზედ ლაპარაკი აღარა ღირს.
მხოლოდ მომავლისათვის ვისურვებთ,
რომ ბ-ნი ზახაროვის აღგილი ისეთმა
კაცმა დაიჭიროს, რომელსაც შეეძ-
ლოს გამოცვალოს სასწავლებელს
აქამდამდე ღონე მიხდილი ნიადაგი და
დააყენოს იგი კეთილ-საიმედო გზა-
ზედ, — ვისურვებთ და მოველოდებო-
ბით.

ჩვენ გეცნობებენ, მაღაქის სახე-
ლოსნო სკოლასთან რომ მტკვარზე
ვიწრო ქუჩა არის ჩასაველი, ის ქუ-
ჩა სულ სიბინძურითა და ნაგავით
არის სასეო. მაგრამ ეს კიდევ არა-
ფერი: საქმე იმიშია, რომ ამ ქუჩაზე
თულუღნები ჩადიან დიქვე მტკვრი-
და ამოაქვთ წყალი. ძაცს გული შე-
მოეყრებაო, რო დანახას — საიდან
ამოაქვთ წყალი: ნაგავი წყალზე და-
ტივტივებს, ამ წყალს იღებენ, თუ-
ლუღნში ასხამენო და ხალხს ასმევე-
ნო.

შრიგო არ იქნება, პოლიციამ მიაქ-
ცოვს ჯეროვანი ყურადღება ამ გა-
რემობას. მაგრამ კიდევ უკეთესი იქ-
ნება, თუ მაღაქის მამგეობა სულ
დახურავს ამ ვიწრო ქუჩას, რადგან

— ის სადღა? სად დასტავე ის?
მკითხავდა მირჩინი. მაშინ სუყვე-
ლაფერი მოვიგონე და ვუთხრე: „დაი-
ლუბა! იმას ვეღარა ვნახავთ! იმ საწ-
ყლების საერთო საფლავშიაც არ ჩა-
უშვებენ, საცა შარშან დავმარხე დე-
და შენი, რომელსაც შეილსავით
ვუყვარდი. პატიოსანი და ღირსეული
კაცი მოკვდა და რომელიმე უსენ-
დისო დიდ-კაცი კი იტყვის: „შეწო-
კარგი ერთი რესპუბლიკელი დაგეკო-
დაო; რისთვის ეჩრებოდა სხვას საქ-
მეშიო? მინა სთხოვა ბესალის სახლო-
ბა დაიხსენიო! ის ძველადგანვე მემ-
ბოხე იყო და აღრე თუ გვიან გადა-
ლუპავდნენ ძაიენში!“

— ოჰ, მიპასუხა მირჩინი: — აბა,
ჩემთან ვინმემ გაბედოს იმაზედ ლა-
პარაკი!..

— ძაი დღეს კი დაუყენებთ!
„მუთხარი მე, ერთმანეთი გადაეკო-
ნეთ და მწარედ ვიტყვი. მსეც ჩემი
ამბავი! ოქვენ, მგონია, იცოდით. ჰო,
ცხლა მაგონდებოთ, თქვენ მისი მე-
გობარი იყავით. იცით რა გითხრათ,
ხან-და-ხან ენანობ, რატომ იმ ორ-
მოში არ დამტოვა, იქვე მომკვდარ-
ეყავ.

— ნუ სწუხხარ აგრე ჩემო კარ-
გო.

— მე ვარ ესწუხვარ, თქვა ყმაწვილ-

ხალხი თითქმის სრულყოფილად და-
ლობს იმითი.

ზორიდან გვეწერენ, რომ მართლის
სოფლებში რამდენიმე საზოგადოება
ერთად შეიკრიბნენ და ზოგან უეზდის
უფროსის, ზოგან იმის თანაშემწე-
ბისა და პრისტავის თან-დასწრებით
ჯერ პანაშვიდი გარდაიხადეს მიცვა-
ლებულ ხელმწიფე-იმპერატორისა და
მერე ახალ იმპერატორის ერთგულ
ქვეშევრდომობის ფიცი მიიღესო.
ზოგან მღვდლებს გარემოების შესა-
ფერი ქადაგებაც უთქვამთ.

„დროშის“ კორესპონდენცია

ბათუმი, 5 მარტს. როგორც რუ-
სებს ბალკირევი, თათრებსაც ჰყავ-
დათ ნუსრედინ-ხოჯა, რომელსაც
თავისი ოხუნჯობით პირველი აღგი-
ლი უჭირავს თათრების ისტორიაში
და უკვდავი კაცია თათრებისათვის! მს-
ნეტარ ხსენებული ხოჯა თავის
ცოლს სულ იმას ეხვეწებოდა, რომ
ერთი უღარდელი დრო შეეზრიოთ
და მაშინ მაქამე ფლავიო; მაგრამ,
საუბედუროთ, იმ ნაირი გულის იყო
დაბადებული ეს ხოჯა, რომ ყველას
დარდი იმას აწუხებდა და უღარდელი
დღე ვერ გაატარა თავის ცხოვრება-
ში თუმც ამის სამაგიეროთ ყოველ-
თვის ყველგან ილანდებოდა და ხში-
რათ ჯოხებდაც იგვრებდა...

მრთელ ცოლმა შეეხვეწა, რომ
დღეს ჩემი დაბადების დღეა და ნუ-
რასფერზედ იდარდებ, მხიარულათ
იყავი და ფლავსაც დღეს გაქმევო!
ხოჯას ეს, მისთვის ორ ნაირათ დი-

მა ბიქმა, ცრემლების შეწმენდით
(იმის თვალებში გამოიხატებოდა
მხნეობა): — მუშა ცხენივით ჯაფასა
ვწევ, რომ როგორმე შევიძლო მარ-
ჩინის შერთვა. ის ისე მიყვარს, რომ
სულის არ დავზოგავს იმისთვის. და
თუნდ დავიფიცავ: რომ იმასაც უყ-
ვარვარ.

— რამდენი წლისაა?
— ის თუთხმეტი წლისაა და მე
ჩვიდმეტისა.


— რასაკვირველია, ის ლამაზიც
არის და ჰკვიანიც?

— მაგას რაღა თქმა უნდა. სწო-
რედ ყვავილია! მითრი, წითელი;
მთელი დღე ხტუნავს, დარბის და
დამღერის. ჰკუა ხომ რაღა! წერა-
კითხვას მასწავლის, სახლში დიდად
ყაირათიანობს. სხვებსაც ჰშველის და
ისეთი ხერხიანია, რომ ერთ გროშს
ათათ გახდის უეჭველია, ჩვენ გავ-
მდიდრდებით.

— აგრე ადვილი არ არი!
— არც აგრე ძველია; ჩვენ თორ-
მეტი მანეთი კიდევ გვაქვს გადადე-
ბული.

— მაშ, სიმდიდრე ჯერ შორს არის
თქვენგან.

— ჩვენ მანც მერმის მაგ ფულე-
ბით წავალთ ავსტრალიაში, საცა მად-
ნები გამოჩენილა და იქიდან მდიდრე-



დებულის დღე ძრიელ გაუხარდა და კარები ჩაჰკეტა, რომ დღეს მაინც ცუდი ამბავი არაფერ მითხრას.—

როდესაც ცოლი და ქმარი ერთს ალერსში და მზადებაში არიან, რომ ფლავი უდარდელათ უნდა სქამონ, უცრად მეზობლის ბიჭი მოიბრუნს ბანზედ და ჩამოსძახებ:

„— ხოჯა, ხოჯა, ჩვენმა ვარმა უკულო მუტრუკი შობაო!“

ხოჯას ამ ამბის გაგებაზე მოსწყდებოდა წელი და დაუწყებს თავის ბედს ყვედრებას, რომ ერთს დღეს უდარდელათ ფლავი ვერ ექამეო. ცოლი ამ ნაირ ამბავზედ ძრიელ გაკაპასდება და ეტყვის.

— შე ოხერო, მეზობლის ვირს უკულო მუტრუკი უშობია, ეს რა შენი სადარდელია?!

— რას ამბობ, ქალო, უთხრა ხოჯამ: როგორ ჩემი სადარდელი არ არის, რომ დღეს-ხვალ ის მუტრუკი გაიზდება მე, ტყეში გამატანებენ შეშის მოსატანათ (ხოჯამ მეტყურობდა ცოლად) და როცა წაიყვან და აუჭილებდ შეშას, გზაში რომ წამეკცეს, რით აეყენო, კუდი რომ არ ექნებაო!

ამ ნაირათ ჩვენმა ხოჯამ ვერ სქამა ერთს დღეს უდარდელათ ფლავი.

მა არაკი მიტომ მოგახსენეთ, რომ მე მინდა შევადარო ჩემისთანა უხვი-რო მბლაჯავები ხსენებულ უხიკ ხოჯას, რომ ყველას დარდი ჩვენ გვაწუხებს, თუმც ამის ნაცვლათ ხოჯასავით დევნას, ლანძღვას და ათას ნაირ მუქარას გვიბრუნებია.

რა ექნათ, ბატონებო?! რადგანაც ჩემი თავი ხსენებულ უხიკ ხოჯას

მივამზავს, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ რა დარდი მაწუხებს.

აი რა: ბავლილ წლებში ჩვენი ბათუმის თავ-მოყვარებმა წარმოდგენები გამართეს „ქველ მოქმედების მიზნით“ და თაოსნათ ჰყავდათ ერთი წარჩინებული ქალბატონთაგანი. ხსენებულ ბატონებს ერთი იმისთანა მიზანი წამოსცდათ, რომ ყველანი უნებურათ გულ-უხეობას და შემწეობას აცხადებდა; მაგრამ ბოლოს, ბოლოს და სულ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს ქველმოქმედი მიზანი ყოფილა „მოუკუპრავი გულა“...

ამის შემდგომ გაიარა ბევრმა უფლის დღეებმა და ხელ-მოწერით გამართა ერთმა ბათუმის ბოზოლათა-განმა ფულის მოკრეფა სკოლის სასარგებლოთ. მსეც რა დაავიწყდა საზოგადოებას, შემდგომ ამ ყველიერების მიზნით, კიდევ ამათვე დაიწყეს წარმოდგენების გამართვა, უსახელო და სახელოვანი „ქველმოქმედების მიზნის სახელით“.

ჩვენ დღემდის უცდიდით, რომ ეს კეთილმოქმედი პირები გაზეთების საშუალებით საზოგადოებას შეატყობინებდნენ თავიანთ ანგარიშს და თავიანთ ნამდვილ მიზანს; მაგრამ თქვენც არ მომიკედეთ! ამას იმედი გარდავიწყეთ და ჩვენვე შეუდევით წარმოდგენაში მონაწილეობის მიზნებსაგან შეგეტყუო, თუ რა უყვეს ამ ფულებს და ან რა მიზნით იყო ეს უკანასკნელი წარმოდგენები; მაგრამ საუბედუროთ იმათგან იმის მეტი ვერასფერი შევიტყუო, რომ „ჩვენც არ ვიცით, რა მიზნით ვითამაშეთ და რა დარჩა; ეგ, ეინც თაოსნები იყვნენ, იმათ იციანო!“ ზოგიც სასაცილოთ

ამბობს, „ბატალიონის ეკლესიისათვის შესაწირავათ იყო ჩვენი წარმოდგენაო“. მაგრამ ამას, რასაკვირველია, სასაცილოთ ამბობენ; აბა რა საფიქრია თქვენი ჭირიმი!

ჩვენ ხომ იმას არ ედარდობთ, რომ ეს წარმოდგენები მოუკუპრავი ტიკებისათვის ყოფილა, არა! ჩვენ ამისთანები ვერ გავგავიწყებ, როდესაც უარესები ვიცით; ჩვენ ის გვაწუხებს, და იმასა ედარდობთ, რომ ქვეყანამ სიტყვას „საქველ მოქმედო მიზანს“ და „წარმოდგენების გამართვას“ ხალხის ახალ-მოდურათ გაყვლითა დაარქვა—და აბა ეს სადარდელი არ არის, თქვენი ჭირიმი?!

კრახანა.

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! „დროების“ მე-38 ნომერში არის ჩამოდენიმი შენიშვნა იმ წარმოდგენაზედ, რომელზედაც მე მოგწერეთ და შეგატყობინეთ ამ წარმოდგენის შემოსავალი. რაც შეეხება უპირატესობას ერთი ოჯახისა, ეს ისურვეს უმეტესმა ნაწილმა მოთამაშეთა (ორის გარდა). ძარბათ რომ გავსაჯოთ ეს ოჯახი, ორი ოჯახისაგან არის შემდგარი. ოჯახშია ერთი ქვრივი მოხუცი ავთმოყოფი ქალი, ამის დასახლებული ვაჟი ცოლით და ჩამოდენიმი წვრილ ფეხით. ორი პატარა ქალი ამათი სწავლობენ კათოლიკეთ საქალო სასწავლებელში და ერთი წელიწადია მოკლებული იყვნენ სწავლას, სიღარიბის გამო.

ჩემს ძლიერებას, სჯულის ზღუდეს რა ედრებოდა, სიძნელე, ჭირი, დაბრკალება წინ მიქრებოდა. მაგრამ ესენი ასე დარჩენ, სულ მიქადებდნენ, თვარა თვით-საქმეს, გაჭირვებას ვერც უნდებოდნენ:

შოველი, ჩემგან აგდებული, მემართებოდა, როცა რამ შემხვდა, მეც ისე ექმენ, ვით სხვა შერებოდა. შემჩნა სასირცხოლ, საყვედრელად, რაც მექადაგა შეელო გაცულდა, გამიმტყუენდა, რაც მე შეძგა.

დავეცი საწყლად, თავის-მტრობი, საბრალოდ-მტდარი, ჩემგან ნასროლის ტყეისაგან, მეც ვიქმენ მკედარი სიტყვას საქმიოთ. რომ არ ვსწრობდი, არ ვაკუროხედი, თუმც ჩემი თავის, გლახ-ცნობის დროს, ცრემლსაც ბევრს ვსთხედი.

მოშალა ჩემი, ხმელა-სიტყვამ, თვით მამაცობა და წამიქცია სანატრელი, სამღვთო კაცობა, ასე ძნელია, თურმე ტყულა სიტყვითა ქცევა,

ჩვენი აზრი ის ყოფილა, რომ ნამდვილი შემწეობა, არა მარტო კუტის დასაკმაყოფილებლად, ვერცთვე დასაკმაყოფილებლად იმ მოთხოვნილებათა, რომელნიც მოსწავლეთათვის საჭიროა.

იმ კორებზედ, შენიშვნაში რომ სწერია და ვითომც ეხებოდა ჩემს და მოთამაშეთ ზნეობით მხარეს, მოგახსენებთ, რომ ეს ნამდვილი სიტყუა. არც მოთავეზედ-და არც მოთამაშებზედ არ თქმულა არავითარი ჭირი, გარდა ოანგარძნობისა და მადლობისა; და თუ ერთი-ორი სადმე ითქვა, ეს ჩვეულებრივი მოვლინებაა და დიდი დაუხედელობა იქნებოდა ვინმეს მხრით ერთი-ორი ბაზრული ჭირით შეედგინა მთელი ისტორია და მით მოეკლა კეთილი სურვილი იმ ახალგაზდებისა, რომელნიც პირველად გამოდიან საზოგადო ასპარაზზედ კეთილის მიზნით. სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი პირნი კეთილ საზოგადო საქმეში ყურადღებას აქცევენ წვრილ-წვრილ რამეს. შემიშნავს დაუფიწყია, რომ გამტყუნებისათვის ბოროტ-მოქმედებაში საჭიროა სწორი საბუთი და არა ის: აფიშაში ისე, ეწერაო, საზოგადოებისთვის არ უნდა მიგეცათო 65 მანეთი—არამედ 57-ო. პასუხი ამ გვარ შენიშვნაზედ დროს დაკარგავა და თუ მე პასუხს ვაძლევ იმისთვის, რომ საზოგადოებამ შეიტყოს, ის ანგარიში, რომალიც იყო გამოცხადებული „დროების“ მე-17 ნომერში და ჩემგან იყო გამოგზავნილი რედაქციაში.

ალექსანდრე აკოფოვი.

ქუთაისი.

ბი დავბრუნდებით. მოგავონდები. როცა აქ დუქანს გაეხსნი და ნამდვილი პარიჟელი გაეხდები.

(დასასრული შემდეგ №-ში.)

ჩემი პიუნი.

(გალობა, ნაწევრები ღრმადი)

დამავიანდა სიცოცხლეში შესვლა და გრძნობა, დამირჩა ასე ქვეყნის, ტოლის და თავის ცნობა;

მიტომაც გულში მწადა—ვითამ, უფრო მეჩქარა; მაგრამ ეს ნდომა... ნდომა იქნა და სხვა არა-რა!

რაც გამეგონა ვაპირებდი, რომ დამესწავლა, მსურდა, ცრუ ჰაზრებს არ ქაოლო ჩემსაზედ გავლა...

მართალი თქმული მიხაროდა, ჭკუაში მიჯდა,

შიქრი და ხსოვნა, გზიანი ცდა, ვთქვა, რას არ მიქმდა?!

ხასიათის და ზნის სიმტკიცეს ნიჟადავ გზობდო,

ამ ხმობით, ასე, უდიდ-საქმად, ვიქმ-თქვა, ვამბობდი.

ბაუტანლობა ნათქვამის და ნების სისუსტე შეეღასი მძულდა, თუ არ სჭირდებოდა სისწორო-სიზუსტე;

მეთაკილოდა მათი ქცევა, სიტყვა, ნაქმარი

არც ერთი ბევრში იყო ჩემთვის ღირს-შესაწყნარი.

არ ეკადრულობდი, ვიწუნებდი, ვზრახავდი, ვგმობდი,

არ ვიკადრებდი, ვეცინოდო, დიდად ვერჩოდო...

სიტყვას ძალუმაღ, უტყუელად და-ვიჩემებდი

ალთქმას თამამად, სრულის ნდობით, დავიშვებდო.

არ მეშინოდა ფიცის თქმისაც, თავის მიმდობსა,

თავის იმედი მტკიცედ მწამდა ამ გვა-რად მყოფსა.

თვით ვამტკიცებდი კაცის ნდომის ყოვლის შეძლებას,

მლონდ რომ ნდომა ცდას ხლებოდა და ჭკუის მცენებას.

შველა მამენოდა, ყველა მეთქვა სიტყვით ვიცოდო...

თუნდ დამეპირა ცეცხლში შესვლა არ დავიწოდო.

დამლუბველია, უქმნელობის უცნოდ შეჩვევა:

დროზე დაშლისა უსმინრობა, ყურის აუღება, უცადებლობა თვით საქმისა, განსჯის დაკლება, შოვლად-მართალს კაცს, პატიოსანს ცრულ-გამოიყვანს, სიყვარულისგან, ხსოვნისაგან საფლავს ჩაიყვანს.

მს მწარე სჯული ამ ცდამდისაც გამიგონია, მაგრამ თუმც მითქვამს, რომ მწამს მეთქი,—არა მგონია! არაფერია, რომ არ მთქმოდეს, არ გამეფრთხილოს, არც დასაქცევი ბოლოს ქონა არ გამეზილოს,—რისთვისაც მწადა გარდაშობა, რომ დამეჩქარა, მაგრამ ეს ნდომა... ნდომა იქნა და სხვა არა რა!!!

6. დადიანი.

26 ივლისი, 1870 წ.

განცხადებანი

პირუტყვთა დამკვეთი თბილისის საზოგადოების წევრები მოიწვევიან 20 ამ თვეს, სულამს 7 1/2 საათზედ სამუშაო საზოგადოების სადგომში პარიკონსკის სასახლეში, ზღუდით საერთო კრებაზედ. გარკვეულ პირობებზედ მოსვლა.

სხვათა შორის ამ სსდამსხედ იქნება სხვა კომისიისაგან წარმოდგენილს მოსესენებაზედ, რომელიც შეესება შემდეგ საგნებს:

- 1). ფაქტის ცხენის ცხოვრების გაცნობა,
- 2). ცხენების და სხვა პირუტყვის დაჭრაზედ,
- 3). საქონლის დაკვლაზედ და საყასბოების თაობაზედ,
- 4). გამომცემელ კომისიის წევრთა არჩევა,
- 5). წევრთა დაჯილდოება და
- 6). ნ. ექვლი უნსი-ზადეს ლექსის წაკითხვა.

(3—1)

საპაფილო წიგნი

„წყარო“

ანთ. ჯულელის რედაქციით გამოცემული, გამოვიდა და დარიგდა გასასულიათ ჩარკიანის, ბრიჭუროვის და მართანოვის წიგნის მალაზიებში.

მალაქ გარეთ იყიდება: ბორში მარ. პერესელიძესთან, მუთაისში ბერარდის წიგნის მალაზიაში და სხვა პატარა ქალაქებში ყველა იმ პირთან, ენც კი ქართული წიგნებით ეტრობს.

უასი ხუთი შაური. მც. ეგზემლიარზე მეტს ვინც დაიბარებს, იმას აბაზათ დაეთმობა ეგზემლიარი.

მეორე № „წყაროსი“ გამოვა სააღდგომოდ. (3—2)

თფილ. ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ წლის მარტის 26, შეჯდევს, იმის თანა-დასწრებით დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) მიწის მუშაობის იჯარით გაცემად ანდრეესკის, მალაქებისა და ალექსანდრესკის ქუჩებს შუა, კუკიაში, სამს (300) მანეთად გუბიურა საყენის მიწის ამოღება. დაწვრილებით პირაბების შეტყობა შეიძლება გამგეობაში (უმრავლესი) მუდამ დღე დღის 11 საათიდან ნაშუადღევს 1 საათამდე. (3—2)

ღვინის სახდელი მაძინები

ინჟინერ-მეხანიკის გარბ კ. ჟონსარის სისტემისა, რომელიც უკვე ათი წელიწადია, რაც ჩინებულად მუშაობს ექვს ჩვენის მხრის ზეოდებზე, ახადდება თფილისში, მარანკოვის წყლის-პირა ქუჩაზე, № 16 მეხანიკურ სახელოსნოში.

დაწვრილებული ცნობის შეტყობა ფასებზე და სხვა შეიძლება იქვე პარლ ნიმიანთან. (11—3)

დიდ-ძალ სამონლის დასაქმება

ფაბრიკის ფასებით, ინგლისის მაღაზიაში, პრწრუნის გალერეაში.

იქვე ისეილება: წყლის-საწურავი მაშინები, დოგვი, სახამებელი, კაკაო, შოკოლადი, სტაქნები და სხვის დასამშვენებელად ჩძის, ნუშის და გლიცერინის საპონი; ახალ სისტემის თოფები. (10—3)

ხელოს კამფეთები 40 კაპეტიდამ გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციები-სათვის—10 მან. 50 კაპ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი—70 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი პორტ-ვინი და ხერესი 1 მან. 40 კ. წმიდა სანთლები და მშრალი საპონი ინგლისის მაღაზიაში. (20—3)

პარიკაზხმის არსენს მუთაისში

ქოსმეტიურს

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

ეს-ეს არის მოუვიდა პარიკაზხმის გამამშვენებელი ნივთიულობა: სხვათა შორის სხვა და სხვა ნაირი სალად მოგონილი თმის საღებავი: „ოდ-ციტერ“, „ოდანეს“ და „ოდანგლე“. მშვენიერი წამლები პირზედ დაუფრისა; სხვათა შორის ერთი სასეზად „უებარი“, ძალიან ხელ-მისაცამ ფასად.

კამედოვსკე, პეტროვსკული საზოგადოება ჩვენი მაღაზიის მაღლიური იქნეს. (10—3)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასეიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დასებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, ღუგებისა, საპონისა, შოკ კებისა, ცხვირ-სასაცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კაღებისა, უნაგრებისა, სუგარისისა (გემრიელი კლეშკინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაგისტროს მოსახურავებს გასასეიდლად კანფეტების და ბატყურის და გამ. მურაბისა, აგრეთვე ჩუღჭებისა და წინდებისა ნოტინგჰამი. ნამდვილი ჭავასს სიგარების. (100—37)

გვერი პაროტები

შოდნოსები, კლიტები, კალმები, ქალაღები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისეილება ინგლისის მაღაზიაში.

იქვე: პალტო 12 მან — დამ, შარვლები 4 მან — დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, ძაბტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ. — 2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქალაღოდ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—8)

ჰეილაზედ უფრო ბევრი საქონელი გაკავსიის აქეთა მხარეში ინგლისის მაღაზიაში, აწწრუნის გალერეაში: ღირს სხასხავად.

ისეილება საზამთრო მოსახურავები, ტანისმოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტები, ფაღნოსები და კაღები 30% უფრო იაფად, კიდრე სადმე სხვავან. 20—17

მიუხედავად იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეულ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალაღოდ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდე და თოფები 20—200 მანეთამდე. ინგლისის მაღაზიაში. სააგენტო ბანსისის უნაგრების გასასეიდლათ, ჯონსის კლიტებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრანსის, რომელთაც დაიმსახურეს ზარაფის მსოფ-

თბილისში დაარსდა გაკავსიის დამმარბული კომიტეტი საპაპრო ხელოვნებითი გამომგონისა, რომელიც გაისხნება მოსკოვში ამ წელს მისში და რომელის მოკვლეობა არის სხვათა შორის მისცეს საჭირო ცნობა გამოფენის შესახებ, როგორ უნდა გაიგზავნოს გამოფენისთვის დანიშნული ნივთები და სხვ. და სხვ. გაკავსიაში მცხოვრებ პირთ, რომელნიც კი ისურვებენ ამ გამოფენაზედ თავიანთ ნივთების გაგზავნას.

ამისთვის, რადგანაც ეს გამოფენა ამ მოკლე ხანში უნდა გაისხნას, დამმარბული კომიტეტი საჭიროდ რაცეს შეატყობინოს, ვისაც ამ გამოფენაშიდ მამაწილეობის მიღება ჭსურს (ექსპონენტებს), რომ რამდენიც შეიძლება დაუჩქარონ გამოფენაზედ ნივთების გაგზავნა; ამასთანავე კომიტეტი აცნობებს შემდეგს:

- 1) ექსპონენტები კალდებულნი არიან თავდა-პირველათ შემოიტანონ ორი განცხადება გამოსაფენ ნივთებზედ; ეს განცხადებანი შეუძლიანთ გაგზავნონ დამმარბულ კომიტეტში; აგრეთვე ერთად ნივთებთან უნდა გამოიგზავნოს სამი სწა რამდენი და რა ფასის საქონელი არის (ფაგტურები) თუ ფაგტურა არ იქნა, ნივთები არ მიიღება გამოფენაშიდ.
- 2) ნივთების გაგზავნა-გამოგზავნა გამოფენაზედ, უმდღესად დამტკიცებულის გამოფენის წესდების § 20 ძალით, უნდა იქმნეს ექსპონენტების ხარჯით.
- 3) ნივთების მიღება დაიწყოება 15 მარტს და გაგრძელდება 1 მაისამდე.
- 4) ექსპონენტებს შეუძლიანთ წარმოადგინონ თავიანთი ნივთები პირადად ანუ თავის ვეჟილებით, ანა და შეუძლიანთ მიანდონ ეს მოკვლეობა, დაწესებულის ჯილდოთი, გამოფენის მაკლერებს.

რადგანაც ბევრს გაკავსიაში მცხოვრებთ გაუხედელებათ თავიანთი ნივთების გამოფენაზედ გაგზავნა, ამისთვის დამმარბული კომიტეტი შეამდგომლას დანიშნოს გამოფენაზედ გაკავსიიდგამ წარმომადგენლები, რომელთ მოკვლეობა უნდა იქნეს იზრინებონ ნივთების მიღებაზედ და მათ გამოფენაში დალაგებაზე, და, საზოგადოდ უნდა დაიცვან ექსპონენტების ინტერესები. ამისათვის:

ა) ჩრდილოეთ გაკავსიაში მცხოვრებთ უფრო ადვილად შეუძლიანთ გაგზავნონ თავიანთი ნივთები გამოფენაზედ პირადად ამ ადრესით: „Въ Москву, въ управление Выставкою, въ Кавказское Отдѣленіе“;

ბ) კასპიის და შავ ზღვასთან ახლო მცხოვრებთ შეუძლიანთ გაგზავნონ ნივთები ზღვით იმავე ადრესით;

გ) დახარჩუნებს შეუძლიანთ გამოგზავნონ გამოსაფენი ნივთები ამ ადრესით: въ Тифлисъ, въ вспомогательный комитетъ выставки, въ Управление Государственными Имуществами Главнаго Управленія Намѣстника“ და მასთანავე სიებიც (ფაგტურები) რამდენიც საჭიროა.

5) ვისაც ჭსურს გამოიტანოს განცხადების და ფაგტურების დაბეჭდილი ქაღალდები (ბლანკები) ანუ გაიგოს რომელიმე დაწვრილებითი ცნობები შესახებ გამოფენისა—შეუძლია მიმართოს: въ Кавказскій вспомогательный Комитетъ въ Тифлисъ, при Управленіи Государственными Имуществами Главнаго Управленія, въ домѣ Вейсенгофа, противъ Католическаго владѣніа. (3—1)